]

საქართველო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 826
05/05/2020

826-01-4-202005051605

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლი კონკურსის პროცედურებთან, ეტაპებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განმხილველი საპრეტენზიო კომისიის შექმნისა და კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, ,,საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად ჩასატარებელი კონკურსის პროცედურებთან, ეტაპებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით, შეიქმნეს საპრეტენზიო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა. ნინო თვალთვაძე - კომისიის თავმჯდომარე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;

ბ. გენადი კუჭუხიძე - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოადგილე;

გ. ნინო გაჩეჩილაძე - კომისიის მდივანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

დ. ეკატერინე ნიჟარაძე - კომისიის წევრი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

ე. რუსლან გვეტაძე - კომისიის წევრი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

ვ. ლოლა ხაჭაპურიძე - კომისიის წევრი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი

სტრუქტურული ერთეულის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

2. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებთან, ეტაპებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განმხილველი საპრეტენზიო კომისიის დებულება დანართის შესაბამისად /დანართი ბრძანებას თან ერთვის/.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლი კონკურსის პროცედურებთან, ეტაპებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განმხილველი საპრეტენზიო კომისიის შექმნისა და კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 6 დეკემბრის N3177 ბრძანება.

4. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად .

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში/ვიქტორ კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

7. ბრძანება, კანონით დადგენილი წესით, გამოქვეყნდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე /www.kutaisi.gov.ge/.

დავით ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი